საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №50/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 13 მაისის №50 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 18 მაისის №211/50-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დისციპლინური საჩივრის წინასწარი შემოწმების ვადა გაგრძელდა 2 კვირით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 26 ივლისის №50/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- ქმედებები შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, საჩივრის ავტორის განცხადებით:

1.1. 2021 წლის 30 მარტს მოსამართლემ ბრალდებულს შეუზღუდა დაცვის უფლება და არ მისცა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა;

1.2. 2021 წლის 14 აპრილის სასამართლო სხდომაზე, ბრალდების მოწმე ბრალდებულს აყენებდა შეურაცხყოფას და აღნიშნული ფაქტი მოსამართლემ დატოვა რეაგირების გარეშე;

1.3. მოსამართლემ დაგვიანებით დაიწყო სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და განზრახ აჭიანურებს საქმეს;

1.4. 2021 წლის 15 აპრილს ბრალდებულმა მოითხოვა 2021 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმი, თუმცა სასამართლო არ ახდენს რეაგირებას მის განცხადებაზე, არ ჩაბარებია სხდომის ოქმი;

1.5. 2021 წლის 15 აპრილს ბრალდებულმა გაასაჩივრა მოსამართლის განკარგულება ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაძევების თაობაზე, რის შესახებაც სასამართლოს განჩინება არ მიუღია ბრალდებულს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს წინასასამართლო სხდომის ოქმის 2020 წლის 29 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2020 წლის 12 ნოემბერს.

2020 წლის 5 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსამართლის თანაშემწის იზოლაციაში ყოფნის, ხოლო სხდომის მდივნის საავადმყოფო ბიულეტინზე ყოფნის გამო, 2020 წლის 12 ნოემბერს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის დროისთვის, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, სასამართლო სხდომები გაიმართა შემდეგ თარიღებში: 08.12.2020; 11.12.2020; 21.12.2020; 21.01.2021; 04.02.2021; 09.02.2021; 24.02.2021; 17.03.2021; 30.03.2021; 14.04.2021; 22.04.2021; 14.05.2021; 20.05.2021.

2021 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდების მხარემ გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულებები. სასამართლო სხდომა იმართებოდა დისტანციურად, რომელსაც ესწრებოდა ბრალდებული -- --.

2021 წლის 14 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოწმის სახით იკითხებოდა -- --. მოწმის დაკითხვის პროცესში ბრალდებული სხდომათა დარბაზში არღვევდა წესრიგს. მოსამართლის განკარგულებით ბრალდებული გაძევებულ იქნა სხდომათა დარბაზიდან.

2021 წლის 19 აპრილს, -- -- სასამართლოს გადაეგზავნა -- -- 2021 წლის 15 აპრილის განცხადება, რომლითაც ბრალდებული ითხოვდა 2021 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმის ვიდეო და აუდიო ჩანაწერს.

ამავე დღეს, 2021 წლის 19 აპრილს, -- -- სასამართლოს გადაეგზავნა -- -- სააპელაციო საჩივარი, -- -- სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის განკარგულებაზე, სხდომათა დარბაზიდან ბრალდებულის გაძევების შესახებ.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის განკარგულება ბრალდებულის სხდომათა დარბაზიდან გაძევების თაობაზე, ბრალდებულ -- -- ჩაბარდა 2021 წლის 14 აპრილს. 16:36 საათზე.

2021 წლის 19 აპრილს, -- -- სასამართლოს გადაეგზავნა -- -- 2021 წლის 15 აპრილის სააპელაციო საჩივარი, -- -- სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის განკარგულებაზე.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, არ ფიქსირდება -- -- სააპელაციო საჩივრის შესაბამის სასამართლოში გადაგზავნის ფაქტი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 26 ივლისის დასკვნა:

-- --2021 წლის 13 მაისის №50 საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მოსამართლე -- --მიერ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები; არ იკვეთება ამავე ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა

სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.[1]

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგინდეს ხომ არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ „ვ.გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

4.1. დისციპლინურ საჩივარში მითითებულ 1.1. საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

ზემოაღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომის სრულყოფილად გააზრებისა და შეფასების მიზნით, მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ეთიკური სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის სტატუსთან შესაბამის ქცევას.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას..

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-24 პუნქტების თანახმად, მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა“ და მისი კომენტარების მე-2 ღირებულების 2.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამაღლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამაღლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი, ხოლო მე-3 ღირებულების 3.2 პუნქტის თანახმად,

[1] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი

მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

2021 წლის 30 მარტის სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ბრალდებულს მიეცა საკმარისი დრო და შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. მოსამართლის მხრიდან ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

4.2. ბრალდების მოწმის მიერ ბრალდებულის შეურაცხყოფის მიყენების შესაძლო ფაქტთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 27-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ მაღალ დონეზე უნდა შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენცია. მან თავისი მოვალეობები გულისხმიერად და სამართლიანად უნდა შეასრულოს, ხოლო ამავე წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 30-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია - სათანადო რეაგირება მოახდინოს კოლეგის, სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე, თუ იგი ამ ფაქტის თვითმხილველია.

გარდა ეთიკური სტანდარტებისა, ყურადღება, ასევე, უნდა გამახვილდეს საპროცესო კანონმდებლობაზე. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფა ევალება სხდომის თავმჯდომარეს.

განსახილველ შემთხვევაში, 2020 წლის 14 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოწმის - -- -- დაკითხვის პროცესში ბრალდებული სხდომათა დარბაზში არღვევდა წესრიგს. მოსამართლის განკარგულებით ბრალდებული გაძევებულ იქნა სხდომათა დარბაზიდან. მოწმის მიერ ბრალდებულის შეურაცხყოფისა და აღნიშნულის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტი არ გამოვლენილა.

4.3. საჩივარში მითითებულ 1.3. 1.4. და 1.5. საკითხებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საპროცესო ვადის შესაძლო დარღვევასთან მიმართებაში ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (Wemhoff v Germany, §18; Kart v. Turkey [GC], §68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

გარდა საქმის განხილვის გონივრულ ვადაში განხილვის სტანდარტისა, მნიშვნელოვანია ეროვნულ საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი, რომლითაც განსაზღვრულია საპროცესო მოქმედების ვადები. კერძოდ, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

ა) საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სს საქმეზე წინასასამართლო სხდომა დასრულდა 2020 წლის 29 ოქტომბერს, ხოლო 2020 წლის 5 ნოემბერს სს საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. ამდენად, დისციპლინური საჩივრის შესწავლის დროისთვის, სს საქმის არსებითი განხილვის ზოგადი საპროცესო ვადა დაცული იყო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე სასამართლო სხდომებს ნიშნავდა საშუალოდ თვეში 2-ჯერ მაინც (საჩივრის შესწავლის დროისთვის ჩატარებული იყო 13 სხდომა).

ბ) რაც შეეხება საქმის არსებითი განხილვის შესაძლო დაგვიანების ფაქტს, უნდა აღინიშნოს, რომ სს საქმეზე წინასასამართლო სხდომა დასრულდა 2020 წლის 29 ოქტომბერს, არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2020 წლის 12 ნოემბერს. მოსამართლე -- -- მიერ საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, პირველი სასამართლო სხდომა ჩატარდა 2020 წლის 8 დეკემბერს.

საქართველოს სსსკ-ის 225-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება) უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღისა, თუ მხარის შუამდგომლობის

საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას არ განსაზღვრავს.

შესაბამისად, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებული იყო საქმის არსებითი განხილვა დაეწყო არაუგვიანეს 2020 წლის 12 ნოემბრისა, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნა შესრულებული, თუმცა აღნიშნული განპირობებული იყო ობიექტური გარემოებებით. კერძოდ, მოსამართლის თანაშემწე Covid-19 პანდემიის გამო იმყოფებოდა იზოლაციაში, ხოლო სხდომის მდივნი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არ იკვეთება მოსამართლის ბრალეულობა და საქმის არსებითი განხილვის დაგვიანებით დაწყების ფაქტი არ უნდა გახდეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი.

გ) სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ასევე დადგინდა, რომ 2021 წლის 14 აპრილს -- -- მოსამართლემ გააძევა სხდომათა დარბაზიდან. სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილს განკარგულება სხდომათა დარბაზიდან ბრალდებულის გაძევების თაობაზე, ბრალდებულმა გაასაჩივრა 2021 წლის 15 აპრილს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. ხოლო ამავე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული განკარგულება, გარდა დაპატიმრების შესახებ განკარგულებისა, შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი შეიძლება ამავე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი წესით გაასაჩივროს პირმა, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა კანონით დადგენილ 48 საათიან ვადაში გაასაჩივრა მოსამართლის განჩინება სხდომათა დარბაზიდან გაძევების შესახებ. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო ბრალდებულის სააპელაციო საჩივარი გადაეგზავნა შესაბამისი სასამართლოსთვის დაუყოვნებლივ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, თუმცა მოსამართლის ქმედებას არ გამოუწვევია ბრალდებულის საპროცესო უფლებების არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

ამდენად, მოსამართლის ქმედებები არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის

ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“, „ვ.გ“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 8 წევრმა მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას „ვ.ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, 9 წევრმა - „ვ.ბ“ ქვეპუნქტთან, ხოლო 10-მა წევრმა „ზ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №50/21 შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი